ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘ | № 85 (12901) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1964 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 9 Ა�პᲠᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲓᲦᲔᲡ, 9 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ, ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲛᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛ, ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲛᲐ, ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲣᲠ-ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲘᲐᲜᲝᲨ ᲙᲐᲓᲐᲠᲛᲐ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 10 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲛ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲛᲐ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲠᲣᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ Გ. Ა. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲛᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲛᲐᲓ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

დარბაზობაზე, რომელმაც განსაკუთრებით გულთბილ ძმურ ვითარებაში ჩაიარა, სადღეგრძელოები წარმოთქვეს ნ. ს. ხრუშჩოვმა და იანოშ კადარმა.

ᲩᲕᲔᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲒᲖᲐ!

ᲣᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲑᲣᲓᲐᲪᲔᲨᲢᲘ, 9 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და მ. პოპოვი იტყობინებიან:

დღეს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, უნგრეთიდან გამგზავრების წინადღეს, სახალხო სტადიონის სასპორტო დარბაზში გაიმართა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ამაღელვებელი მიტინგი.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ უნგრეთის დედაქალაქის შრომელთა 4 ათასზე მეტი წარმომადგენელი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, უნგრეთის სახალხო არმიის ოფიცრები. დარბაზის კედლებზე გაკრულია მკვეთრი წითელი ფერის ტილოები, რომლებზეც წარწერილია ლოზუნგები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „დაე დღეგრძელობდეს და ყვაოდეს უნგრელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური მეგობრობა!“.

ზუსტად 16 საათზე აღგილობრივი დროით პრეზიდიუმში შემოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი, ოტვან დობი, იანოშ კადარი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები. მიტინგის მონაწილენი მათ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

ზეიმურად ეღერს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნების მელოდიები.

მიტინგი გახსნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შანდორ გაშპარმა. მოკლე შესავალ სიტყვაში იგი მხურვალედ მიესალმა ძვირფას საბჭოთა სტუმრებს და იანოშ კადარს მიეულოცა უმაღლესი ჯილდო — მისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იანოშ კადარს. მიტინგის მონაწილენი მხურვალე ტაშით ხვდებიან მას.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲘᲐᲜᲝᲨ ᲙᲐᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ იანოშ კადარი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებსა და დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. ს. ხრუშჩოვს.

მთელი ჩვენი ხალხისათვის დიდი სიხარული და პატივი, თქვა მან, ის, რომ საბჭოთა ამხანაგების ჩამოსვლა დაემთხვა ჩვენს ყველაზე დიდ ეროვნულ დღესასწაულს — 4 აპრილის დღესასწაულს, რადგან საბჭოთა ხალხს პატივს ვცემთ არა მარტო როგორც ჩვენს საუკეთესო მეგობარს, არამედ აგრეთვე როგორც ჩვენს განმათავისუფლებელს.

ჩვენ ვამაყობთ მეგობრობით, რომელიც საბჭოთა კავშირთან გვაკავშირებს. ეს მეგობრობა ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობა ყოველ დროსა და ყოველ გარემოებაში ყველაზე საიმედო დასაყრდენია, რომელიც ძალებს გვმატებს როგორც შრომაში, ისე ბრძოლაშიც.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს, აღნიშნა იანოშ კადარმა, ერთმანეთს გავაცანით შემოქმედებითი მუშაობის შედეგები და ის დაბრკოლებანი, რომლებიც უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო მდგომარეობა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხები, აგრეთვე გავმართეთ მოლაპარაკება იმაზე, თუ როგორ უნდა განვამტკიცოთ კიდევ უფრო ჩვენი კარგი ურთიერთობა, რომელიც უკვე ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. როგორ უნდა განვამტკიცოთ კიდევ უფრო ჩვენი მეგობრობა. შემიძლია სიხარულით მოგახსენოთ, რომ ჩვენს მოლაპარაკებას ამჯერადაც ახასიათებდა შეხედულებათა სრული იგივეობა, სრული თანხმობა და მხურვალე მეგობრობა. ეს აისახა ჩვენს ერთობლივ განცხადებაშიც, რომელსაც ეს-ეს არის მოვაწერეთ ხელი.

თვითეულმა პროგრესულმა ადამიანმა მსოფლიოში, თვითეულმა ნამდვილმა რევოლუციონერმა, თვითეულმა უნგრელმა კომუნისტმა, განაგრძო იანოშ კადარმა, იცის, თუ რას ნიშნავს საბჭოთა კავშირი კაცობრიობისათვის. საბჭოთა კავშირი გამარჯვებული პროლეტარული რევოლუციის პირველი ქვეყანაა. მისმა ხალხებმა კომუნისტური პარტიისა და უკვდავი ლენინის ხელმძღვანელობით დაამხვრიეს იმპერიალიზმის ბორკილი და დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, შესაძლებელია პრაქტიკულად განხორციელდეს მარქსის მოძღვრება, მეცნიერული სოციალიზმის თეორია. მათ დაამტკიცეს, რომ სოციალიზმი შეიძლება აშენდეს ერთ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებმაც არ იციან, რა არის დაღლა და არ აშინებთ მსხვერპლი, რევოლუციური ენთუზიაზმით ააშენეს ძველი მეფის რუსეთის ადგილას მსოფლიოს პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში სოციალიზმის დიდებული შენობა.

მოიყვანა რა ციფრები და ფაქტები სოციალიზმის მშენებლობაში უნგრელი ხალხის წარმატებათა შესახებ, ამხანაგმა იანოშ კადარმა ხაზგასმით აღნიშნა: საბჭოთა კავშირი უკვე ორი ათეული წელია ხელს უწყობს ჩვენს შემოქმედებითს შრომას. ჩვენს პარტიებს, მთავრობებსა და ხალხებს შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდა ყველა დარგში.

მთელი ჩვენი ხალხის სახელით, განაცხადა იანოშ კადარმა, შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენთვის უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა წმიდა და მარადიულია. ჩვენი აზრით, არ შეიძლება ინტერნაციონალისტი უწოდოს თავის თავს იმან, ვინც გამოდის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გამარჯვებული რევოლუციის პირველი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც წინსვლის გზას კვლავაც, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მოწინავე ლენინური პარტიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველაზე გამოცდილი, თეორიულად ყველაზე ნაწრთობი კომპარტია. ამ პარტიის თეორიული საქმიანობა, მისი ლენინური გამბედაობა და პოლიტიკური მოქნილობა მაგალითია ყველა კომუნისტური პარტიისათვის.

მაგრამ კომუნისტები პატივს სცემენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არა მარტო მისი წარსულისათვის, არამედ უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ მას ახლა, როგორც ყოველთვის, სწორი მარქსისტულ-ლენინური პოზიცია უჭირავს.

როგორ შეიძლება თავის თავს ანტიიმპერიალისტი კომუნისტი უწოდოს იმან, ვინც ცილს სწამებს საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მათს ხელმძღვანელებს, ვინც გაწაფული ოინებით ცდილობს უთანხმოება ჩამოაგდოს საბჭოთა ხალხსა და მის ხელმძღვანელებს შორის, ვინც საბჭოთა კავშირის შესახებ მხოლოდ ცუდს ამბობს, ვინც არღვევს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობას, განაგრძო იანოშ კადარმა. არ შეიძლება იმის არც ახსნა, არც გამართლება, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები არ თაკილობენ არავითარ საშუალებას და ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა პარტიებს, თიშავენ საერთაშორისო რევოლუციურ მუშათა მოძრაობას, მოურიდებლად ერეკიან სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში.

ჩვენ ვიცით, რომ როცა თავს ესხმიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ხრუშჩოვსა და სხვა მოძმე პარტიებს, ჩინეთის ხელმძღვანელები გამოდიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც შემუშავებულია მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირებზე. დაე იცოდნენ მათ, რომ ჩვენ ვდგავართ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან და ამხანაგ ხრუშჩოვთან ერთიან პოზიციებზე, ჩვენ მათთან და ყველა მოძმე პარტიასთან ერთად ვართ, ყველა მარქსისტ-ლენინელთან ერთად ვიცავთ და დავიცავთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლენინურ პოლიტიკას.

შეეხო რა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, ამხანაგმა იანოშ კადარმა თქვა: შეუპოვარი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მშვიდობისათვის. უნდა ვიბრძოლოთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის სრული აკრძალვისათვის. ჩვენ ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ უატომო ზონების შექმნისათვის დედამიწის სხვადასხვა რაიონში, მათ შორის იმ რაიონში, სადაც ყველაზე დიდი საშიშროებაა. ცენტრალურ ევროპაში. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ პოლიტიკური რეალობის შესაბამისად დაიღოს საზავო ხელშეკრულება ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან.

ჩვენ, განაგრძო იანოშ კადარმა, გვწამს ჩვენი ძალები. გვწამს კაცობრიობა. ჩვენ გვწამს სოციალისტური წყობილების უპირატესობა. გვწამს სოციალისტური მსოფლიო სისტემის ძალა და უძლეველობა. გვწამს ჩვენი ხალხები და ერთმანეთი. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და მეგვაჩნია, რომ სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და ერთიანობა მშვიდობის მთავარი საწინდარია კაცობრიობისათვის.

სრული რწმენით შემიძლია განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტმა, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, კიდევ უფრო მეტადროდ დაგვაკავშირა ერთიმეორესთან, კიდევ უფრო გაალრმავა ჩვენი ხალხების, პარტიებისა და მთავრობების მეგობრობა.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხანაგმა იანოშ კადარმა გამოარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას.

• • •

მიკროფონთან მიდის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. დარბაზში გრიალებს ტაში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ძვირფასო ამხანაგო იანოშ კადარ!

ძვირფასო ამხანაგო ოტვან დობი!

ძვირფასო უნგრელო დებო და ძმებო!

ძვირფასო ამხანაგებო — უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის მცხოვრებლებო!

მოხარული ვარ ბუდაპეშტის მშრომელებს, მთელ უნგრელ ხალხს მხურვალედ მივესალმო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის, თქვენი მილიონობით საბჭოთა მეგობრისა და ძმის სახელით.

ბევრი ჩვენგანი პირველად არ არის უნგრეთში. თქვენს სამშობლოში ყოფნის შემდეგ, რაც უნდა ხანმოკლე იყოს იგი, მუდამ საუკეთესო შთაბეჭდილები გვრჩება. ამჯერადაც მეგობრობის, ამხანაგობის, ურთიერთნდობის ატმოსფერო გვათბობდა ჩვენ, ვიზიტის ყოველ დღეს ხდება არა მარტო სასარგებლოს, არამედ სასიამოვნოსა და სასიხარულოს. კარგია იმ ამხანაგებთან და მეგობრებთან ერთად ყოფნა, რომლებთანაც ერთად საერთო საქმეს ემსახურები. მაგრამ დრო ულმობლად მიდის, და აი მისი განაჩენიც — იგი კი მკაცრი და ფრიად ზუსტია — გვიკარნახებს: „ძვირფასო სტუმრობამ, ხომ არ შეაწყინეთ თავი მასპინძლებს? გეყოფათ სტუმრობამ!“.

ჩვენი დელეგაცია გაეცნო თქვენს შესანიშნავ დედაქალაქს, იყო კომპრომის ოლქში, სადაც დიდი ინტერესით გაეცნო სოფელ ბაბოლნის სახელმწიფო მეურნეობას — ამ მეურნეობის მეფრინველეობის ფერმას და შესანიშნავ ცხენთსაშენს. ჩვენ ინტერესით დავათვალიერეთ სოფელ კოჩის საწარმოო კოოპერატივის მეღორეობის ფერმა.

ჩვენი დელეგაცია იყო ბორშოდის ოლქში და დაათვალიერა ქიმიური კომბინატი, გაეცნო ქალაქ მიშკოლცის მძიმე მრეწველობის უნივერსიტეტს. ჩვენ იქ შეეხვდით ამ შესანიშნავი სასწავლებლის პროფესორებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დათვალიერებამ, რომელიც სოფელ მარტონვაშარშია. ამ ინსტიტუტში საინტერესო სასელექციო მუშაობას ეწევიან.

თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენ ვიყავით ბევრ მსხვილ სამრეწველო საწარმოში, ბუდაპეშტის ელექტრონათურების ქარხანაში, ოპტიკურ ხელსაწყოთა საშენებელ ქარხანაში, ქიმიურ კომბინატში. დიდი კმაყოფილების გრძნობით ვიგონებთ გულთბილ შეხვედრებსა და მეგობრულ საუბრებს უნგრეთის მუშათა კლასის წარმომადგენლებთან.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს უნგრელ მშრომელთა დიდი წარმატებები ახალი ცხოვრების შენებლობაში. წლითწლობით ჰყვავის მშრომელი, სოციალისტური უნგრეთი, იზრდება მისი მრეწველობა და კოოპერირებული სოფლის მეურნეობა, სწრაფად ვითარდება განათლება, მეცნიერება და კულტურა.

უნგრელი ხალხი მტკიცედ მიაბიჯებს წინ სოციალიზმის გზაზე, და ეს დამსახურებაა მისი ნაცადი ავანგარდის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც სათავეში უდგას უნგრელი ხალხის ერთგული შვილი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ჩვენი დიდი მეგობარი ამხანაგი იანოშ კადარი. თავისი ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, სოციალიზმის საქმისადმი ერთგულებით უნგრელმა კომუნისტებმა ნდობა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით უნგრეთში ხორცს ისხამს უნგრელ რევოლუციონერთა მრავალი თაობის ოცნება. თავისუფალ, სოციალისტურ უნგრეთს ღირსეული ადგილი უჭირავს სუვერენული, თანასწორუფლებიანი სოციალისტური სახელმწიფოების ოჯახში. წლითწლობით მტკიცდება მისი საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა, იზრდება მისი ავტორიტეტი საერთაშორისო საქმეებში. უნგრეთის ხმა მტკიცედ და გაბედულად გაისმის მშვიდობის დასაცავად, მებრძოლ ხალხთა უფლებების დასაცავად.

თქვენ უკვე იცით პრესიდან, რომ უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციებმა ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები სულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს ინტერესებს. ჩვენ ძლიერ კმაყოფილი ვართ ამ მოლაპარაკებით. მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ჩვენ გავსებით ერთნაირი შეხედულებანი გვაქვს, რომ ჩვენი პარტიების, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ჯახსად და მტკიცე საფუძველზე ვითარდება.

ბოლოპარაკების მსვლელობაში დიდი ყურადღება დავუთმეთ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობას და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიურ თანამშრომლობას. ჩვენს ქვეყნებს შორის ამ დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერი, ურთიერთხელსაყრელი, ნამდვილად სოციალისტური ურთიერთობა დამყარდა.

ჩვენი შეხედულებების ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე აისახა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ჩვენმა დელეგაციებმა დღეს მოაწერეს ხელი.

დარწმუნებული ვართ, რომ ის დოკუმენტი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის განმტკიცების საქმეში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხმა და უნგრელმა ხალხმა უკვე დაიწყეს იმ უპირატესობათა პრაქტიკულად ვამოყენება, რომლებსაც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო ფარგლებში შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება გვაძლევს. წარმატებით მტკიცდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა ალუმინის მრეწველობის დარგში, რაც დიდ სარგებლობას მოგვიტანს თქვენცა და ჩვენც. მე უკვე ვთქვი, რომ უნგრეთმა დაიწყო საბჭოთა ნავთობის მიღება ნავთობსადენ „მეგობრობით“, რომელიც მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მეცადინეობით აშენდა. დაიწყო ჩვენი ელექტროსისტემების გაერთიანება და პირველი ელექტრომაგისტრალი „მშვიდობა“ უკვე იძლევა დენს უნგრეთისათვის. განუხრელად ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გაცვლა, რომელიც ჩვენი ქვეყნების სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. თქვენი ტექნიკური მიღწევების დანერგვას სარგებლობა მოაქვს საბჭოთა საწარმოებისათვის.

გამოცდილებას რომ ვუზიარებთ ერთმანეთს, საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ არ ხდებოდეს ღონისძიებათა დუბლირება, მიგბაძოთ ერთმანეთს ყოველივე საუკეთესოში, გავუზიაროთ ერთმანეთს მეცნიერების, კულტურისა და ტექნიკის მიღწევები და ამით დავზოგოთ სახსრები და ძალები. ჩვენ და თქვენ ხომ კონკურენტები, მეტოქეები კი არა, არამედ ამხანაგები და მეგობრები ვართ, რომლებიც საერთო საქმეს ემსახურებიან, რომლებიც უანგაროდ, ძმურად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ძვირფას გამოცდილებას. სწორედ ეს არის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი გამოვლინება.

უნგრელი მშრომელი ხალხი წინათაც გვიჩვენებდა და ახლაც გვიჩვენებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სხვა ქვეყნების მებრძოლი ხალხებისადმი კლასობრივი სოლიდარობის მკაფიო მაგალითს. ჩვენი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს, რომ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის კვალდაკვალ უნგრელმა მშრომელებმა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აიფრიალეს და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მხურვალედ მიესალმა უნგრეთის რევოლუციის გამარჯვებას და მის ბელადს ამხანაგ ბელა კუნს. პირველმა პროლეტარულმა სახელმწიფომ თქვენს ქვეყანაში ვერ გაიმარჯვა კონტრრევოლუციისა და ინტერვენტების ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ მისმა გმირულმა ბრძოლამ გვიჩვენა, რომ უნგრეთის მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი მზად არის იბრძოლოს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მუდამ გვახსოვს, რომ მრავალი ათასი უნგრელი მებრძოლი ინტერნაციონალისტი წითელი არმიის რიგებში იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე და საბჭოთის ხელისუფლებას იცავდა. აი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის სათავეები! აი, ამხანაგებო, ხორცშესხმული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კიდევ ერთი მაგალითი.

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ჩვენი ხალხების ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა. უნგრელ ხალხს დიდი ხნით დაედგა ხორტიტული ფაშიზმის ძმიმე უღელი. საბჭოთა ხალხი შეუპოვარი ბრძოლით აშენებდა სოციალისტურ საზოგადოებას. მაგრამ ჩვენს საუკუნეში ყველა გზას სოციალიზმისაკენ მივყავართ. საბჭოთა კავშირმა გაანადგურა ჰიტლერელთა ურდოები და დეხმარა უნგრელ ხალხს განთავისუფლებულიყო ფაშისტური უღლისაგან, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული და სოციალისტური განვითარებისათვის. ესეც ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმი იყო!

და აი თითქმის ოცი წელია ჩვენი პარტიები, ჩვენი ხალხები ერთად იბრძვიან სოციალისტური თანამეგობრობის შექმნისა და განმტკიცებისათვის. ისინი ძმურად ეხმარებიან ერთმანეთს, იზიარებენ ჭირსა და ლხინს, სიძნელეებსა და გამარჯვებას! შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი კვლავაც თქვენი ერთგული ამხანაგები და მეგობრები იქნებიან.

როგორც თქვენს მეგობრებს, გულწრფელად გვახარებს თქვენი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, უნგრეთის ეკონომიკის განვითარებაში. პირველ რიგში ხომ სწორედ ეს არის სოციალისტური მშენებლობის ამოცანა. მშრომელ ხალხს ძალაუფლება სჭირდება იმისათვის, რომ მოაწყოს და განავითაროს სოციალისტური წარმოება, ამ საფუძველზე კი აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე. ადამიანებს სურთ შეძლებულად იცხოვრონ დღეს და ხვალ. სურთ თავიანთი შვილები უზრუნველყონ ბედნიერი ცხოვრებით. მიიღონ განათლება, გაიუჯრედონ თავიანთი ყოფაცხოვრების ყველა მხარე. დავაკმაყოფილოთ ეს ბუნებრივი მოთხოვნილება რაც შეიძლება სრულად — ასეთია სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, და იმისათვის, რომ ეს მიზანი განხორციელდეს, საჭიროა მეტი და მეტი შრომა.

იბრძვიან რა ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს ამით დიდი წვლილი შეაქვთ როგორც მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაში, ისე მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაშიც. რა უბანზეც უნდა ვმუშაობდეთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშით ჩვენს შრომას წინ მიაყავს მსოფლიო რევოლუციის საქმე, სოციალიზმის საქმე.

ნამდვილი ინტერნაციონალისტისათვის გასაგებია, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება სოციალიზმის, ჩვენი ქვეყნების ეკონომიური პოტენციალი, მით უფრო ძლიერი იქნება მსოფლიო სოციალისტური სისტემის გავლენა ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე. მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება ყოველმხრივ დავეხმაროთ ხალხებს, რომლებიც ჩამორჩნენ სამეურნეო განვითარებაში იმპერიალისტური ჩაგვრის შედეგად.

უნგრეთის ეკონომიკის განვითარების დიდი წარმატებები საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. მაღალი მარკა უნგრული საქონლისა, რომელსაც თქვენ მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას აწვდით, ამ ფაქტის დამაჯერებელი დადასტურებაა. უნგრულმა მოწყობილობამ, ურთულესმა ჩარხებმა, ხელსაწყოებმა, კავშირგაბმულობის საშუალებებმა და სხვა ნაკეთობებმა დამსახურებული აღიარება ჰპოვეს მსოფლიო ბაზარზე.

თქვენი სპეციალისტები დახმარებას უწევენ ბევრ ხალხს, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ, თანამედროვე ინდუსტრიის შექმნაში,

ჩვენ ლენინმა გვიჩვენა გზა!

(დასასრული)

და ძლიერი რაკეტები, თქვენ გგონიათ, იმპერიალისტები გაგვიღიმებდნენ, ჩვენთან ერთად ერთ მაგიდას შემოუსხდებოდნენ და იმსჯელებდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ? ყბინი ისეთი „მშვიდობიან თანაარსებობის“ გვიჩვენებდნენ, რომ ბიჭი ხარ და გაუძელი. ახლა კი იმპერიალისტები იძულებული არიან ანგარიში გაგვიწიონ. რასაკვირველია, იმპერიალისტები ბუნება არ შეცვლილა და იგი კიდევ ძლიერია. მაგრამ იმპერიალიზმი ყოვლისშემძლე აღარ არის. რევოლუციური ხალხები წლითიწლობით სულ უფრო ძლიერ ზღუდავენ იმპერიალიზმს მოქმედების თავისუფლებას.

ბევრ სოციალისტურ ქვეყანაში მომხდა ყოფნა, კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებშიც ვყოფილვარ. ადამიანები ყველგან ორ ფეხზე დგანან, მაგრამ სხვადასხვანაირად ცხოვრობენ. მხედველობაში მაქვს არა ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და გეოგრაფიული განსხვავებანი, არამედ ცხოვრების წყობის ის სხვადასხვაობა, რაც წარმოიშვა სოციალიზმის გამარჯვების შედეგად და რამაც მსოფლიო დაყო ორ სოციალურ სისტემად. ერთი მათგანი კაცობრიობის წარსულია, მეორე კი — მისი აწმყო, მისი მომავალი.

სოციალისტური ქვეყენები ვეებერთელა სამშენებლო მოედანია, სადაც შენდება ახალი ცხოვრება. აქ ყველაფერი წინ ისწრაფვის!

წელს ევროპის მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების ხალხები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული, შემდეგ კი სოციალისტური გარდაქმნების დაწყების მეოცე წლისთავს. რა არის ოცი წელი ისტორიის თვალსაზრისით, ხალხთა ცხოვრების თვალსაზრისით? ეს იგივეა, რაც რამდენიმე წუთი ადამიანის ცხოვრებაში — თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე გაფრინდებიან. მაგრამ წუთიც არის და წუთიც. არის წუთები, როდესაც ადამიანი გადაწყვეტილებას მიიღებს, ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რაც მთელ მის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

ასე ხდება ხალხების ცხოვრებაშიც. აიღეთ გასული ოცი წელი. ამ ხნის მანძილზე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა დაამხეს მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება და აშენებენ ახალ, სოციალისტურ საზოგადოებას. ეს იყო ისტორიული გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორე, უფრო მაღალ, უფრო განვითარებულ ეპოქაში.

თუ შევაჯამებთ გზას, რომელიც მთელმა სოციალისტურმა სისტემამ განვლო სამრეწველო წარმოების განვითარების დარგში, ჩვენს წინაშე გადაიშლება სწრაფი წინსვლის სურათი. 1963 წელს სოციალიზმის ქვეყნებში, შესაბამისი ტერიტორია რომ აეღოთ, წარმოების დონე ომამდელ პერიოდთან შედარებით დაახლოებით რვაჯერ ამაღლდა. მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში სოციალისტური ქვეყნების წილმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდა, 1963 წელს უკვე დაახლოებით 38 პროცენტს მიაღწია. მაგრამ თუ მხოლოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შევადარებთ, გამოდის, რომ ახლა სოციალისტური ქვეყნების პროდუქცია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. ეს კი ხომ მხოლოდ პირველი ნაბიჯია სოციალისტური სისტემისა.

მაგრამ საქმე მარტო რაოდენობრივი ზრდა როდია. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა თვისებრივად შეიცვალა. იგი გეგმიანი ეკონომიკა გახდა, შეიცვალა თავისი სტრუქტურა, თანამედროვე ტექნიკურ დონემდე ამაღლდა. ინდუსტრიული განვითარების აშკარა მაჩვენებელია მანქანებისა და მოწყობილობის ექსპორტის დინამიკა. მაგალითად, თუ 1938 წელს უნგრეთის ექსპორტში ამ საქონლის წილი სულ 9 პროცენტს შეადგენდა, ახლა იგი უკვე 31 პროცენტს შეადგენს.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირმა, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მცირე წვლილი როდი შეიტანეს სოციალიზმის განმტკიცების საერთო საქმეში. თავიანთი შრომითი წარმატებებით ისინი ხელს უწყობდნენ მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების ზრდას. საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა დაუჯდა საბჭოთა ხალხს მეორე მსოფლიო ომი. მან მრავალი მილიონი ჩვენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მათ შორის იმ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ყველაზე აქტიური და მომზადებული იყვნენ შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ აგრეთვე განიცადეს წარსული ომის მთელი სიმძიმე, იძულებული გავხდით ხელახლა აგვეშენებინა ასობით ქალაქი და ათეულათასობით დაბა და სოფელი. როცა მეორე მსოფლიო ომის ქვემეხების გრიალი მიწყდა, მსოფლიო რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალები კვლავ ინუგეშებდნენ თავს ილუზიებით, რომ საბჭოთა წყობილება ვერ გაუძლებდა ესოდენ მძიმე გამოცდას, რომ საბჭოთა კავშირში ნელა წავიდოდა სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმე, რომ ჩვენი ქვეყანა მრავალი ათეული წლით ჩამორჩებოდა მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დონეს.

და თქვენ იცით, თუ როგორი პასუხი გასცა საბჭოთა ხალხმა მტრების ამ გულდაკარძლიან იმედებს. თქვენ იცით, თუ რას წარმოადგენს დღეს დიდი საბჭოთა კავშირი — მსოფლიოს მეორე ინდუსტრიული სახელმწიფო, რომელიც თავის ეკონომიკას ბევრად უფრო სწრაფი ტემპებით ავითარებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. დღეს ჩვენ სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 65 პროცენტს ვაწარმოებთ შეერთებულ შტატებთან შედარებით. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ გადავაჭარბებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც უკვე გადავაჭარბეთ მათ ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს დარგებში მთელი რიგი პროდუქტების გამოშვებით. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი მრეწველობა, საბინაო შენებლობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენებლობა უკანასკნელ წლებში. გაგახსენებთ, რომ იმ ინდუსტრიული გიგანტის გვერდით, როგორიც საბჭოთა კავშირის ინდუსტრია იყო უკვე 1953 წელს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კიდევ ორი ასეთი გიგანტი შეიქმნა.

ჩვენი პარტიის პროგრამა, რომელიც წარმატებით სრულდება, საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო გრანდიოზულ ამოცანებს უსახავს. უნდა შეექმნათ ჩვენს მიწაწყალზე კიდევ 5 სამრეწველო და ორზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, მსგავსი ჩვენი საბჭოთა კავშირისა. შეგვიძლია მოგახსენოთ, როგორც მეგობრებსა და ძმებს, რომ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არ უმტყუნებს თავის კლასობრივ ძმებს, ააშენებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ცხადია, ყველას ესმის, რომ ვერავითარი ეკონომიური სტატისტიკა მთლიანად ვერ გამოხატავს სოციალიზმის მიღწევებს. ეს მიღწევები იმითაც განისაზღვრება, რომ ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ შეგნებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბა ათეული მილიონობით უბრალო ადამიანი, იმითაც, რომ მას თან მოჰყვა კულტურის უმაგალითო აღმავლობა, ისტორიაში პირველად ყველას კეთილდღეად გადადა იგი. ყოველივე ამას ყველაზე გონიერი გამოსათვლელი მანქანითაც კი ვერ ანგარიშებ.

სოციალისტური ქვეყნების ხალხები თავიანთი გმირული შრომით კომუნიზმის გზას უკაფავენ კაცობრიობას. მათ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ახალი სამყაროს პიონერადმომჩენები. იმას კი, ვინც წინ მიდის, ვინც, ხატოვნად რომ ვთქვათ, გზას კაფავს, — მუდამ მეტი სიძნელე ხვდება.

ჩვენს წინაშე დგომს ყველაზე რთულ ამოცანათა რიგს ეკუთვნის ახალი ნამდვილად ძმური ურთიერთობის დამკვიდრება ერებს, სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. ამ ამოცანის გადაწყვეტისას გვიხდება წარსულის მძიმე მემკვიდრეობის — ძველი ეროვნული მტრობის ნაშთების, ურთიერთუნდობლობის, ნაციონალისტური ცრურწმენების გადალახვა.

მაგრამ რა გამძლეც უნდა იყოს ნაციონალიზმის გადმონაშთები, ისინი ვერ გაუძლებენ პროლეტარიატის, ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ძლავრ ძალას, რომელნიც ერთი საერთო მიზნისათვის იბრძვიან. შეიძლება ერთი ხელის დაკვრით არა, მაგრამ კომუნისტიზმისათვის ერთობლივი ბრძოლა ეროვნულ ურთიერთობას წმენდს წარსულის მემკვიდრეობისაგან, აერთიანებს და აკავშირებს ხალხებს ერთ დიდ მეგობრულ ოჯახად.

რა თქმა უნდა, მეგობრულ ოჯახშიც კი შეიძლება წარმოიშვას გართულებანი. ეს მაშინ, თუ საქმე ჩვეულებრივ ადამიანურ ოჯახს ეხება. სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების ოჯახი კი შეუდარებლად უფრო რთული მოელენაა. რა საერთო მიზნები და ინტერესებიც უნდა ჰქონდეთ სოციალისტურ ქვეყნებს, თვითეულ მათგანს თავისი, სპეციფიკური ეროვნული თავისებურებანი, თავისი ინტერესები აქვს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სოციალიზმის გზას ადგებიან ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონის, სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების, თავისებური გამოცდილების მქონე ქვეყნები. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარქსისტულ-ლენინური პარტიების სწორ პოლიტიკას, იმას, თუ რამდენად უნარიანად უდგებიან ისინი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ყველა საკითხს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან, რამდენად შესწევთ უნარი გადაჭრან ეს საკითხები როგორც თვითეული ცალკეული ქვეყნის, ისე მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებისათვის.

პრესიდან თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ დღეებში გამოქვეყნდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მომძლე პარტიების დიდწინააღმდეგობანი დოკუმენტები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლის შესახებ. ამ დოკუმენტებში ნაჩვენებია ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა გამოშვეული მოქმედება, ნაჩვენებია სერიოზული საშიშროება მაფი ძირგამომთხრელი მუშაობისა სოციალისტურ ბანაკში და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

უკანასკნელი დროის ამბებმა მთელი დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც „მემარცხენე“, ულტრარევოლუციური ფრაზებით, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების ფიცით ინიღბებიან, სინამდვილეში კი მთელ რიგ საკითხებში სულ უფრო ედალმიან ტროცკიზმისა და დიდყაენური შოვინიზმის ჭაობში.

ჩინეთის ხელმძღვანელებმა პოლემიკა დაიწყეს თანამედროვე მსოფლიო განვითარების ზოგიერთ საკითხზე და თავიანთი იდეოლოგიური უთანხმოება გადაიტანეს საერთაშორისო ურთიერთობაზე, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის შეიყვანის გზას დაადგნენ და ამით ზიანს აყენებენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემას.

კომუნისტურ მოძრაობაში მათ გააჩაღეს ფრაქციული საქმიანობა, აკოწყნენ სხვადასხვა ჯგუფებს რენეგატებისაგან, გარეწრებისაგან, ტროცკისტებისა და მუშათა კლასისა და სოციალიზმის საქმის ინტერესთა სხვა მოღალატეებისაგან.

თავიანთი ავანტიურისტული პოლიტიკით ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები ცდილობენ დეზორგანიზაცია შეიტანონ კომუნისტური მოძრაობის რიგებში და ამით დასუსტონ ეს მთავარი რევოლუციური ძალა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აი როგორ ხდება ზოგჯერ: წასვალ მარცხნივ. მიხვალ მარჯვნივ.

ჩინელი გამთიშველები „მემარცხენე“ ულტრარევოლუციური ფრაზით ინიღბებიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლენინური კურსის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავიანთი გაბოროტებული ციცილისწამებით მოძმე პარტიების მიმართ ფაქტიურად რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალებს უკავშირდებიან. რაც იმპერიალისტებმა ვერ შეძლეს — დეზორგანიზაცია შეეტანათ სოციალისტურ ბანაკში და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ჩირქი მოეცხოთ დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისათვის, — ამას ახლა ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ. იმპერიალისტებს შეუძლიათ ახლა სიამოვნებით იფშვნტონ ხელები, რაკი ხედავენ, თუ როგორ ასრულებენ სოციალიზმზე ცილისწამების მათს ფუნქციებს ჩინელი გამთიშველები, რომლებიც თავიანთ თავს კომუნისტებს, მარქსისტ-ლენინელებს უწოდებენ. განა შეიძლება კიდევ უფრო საზიზღრად ულალატო ჩვენს დიად რევოლუციურ საქმეს!

ჩინეთის ხელმძღვანელებმა ავანტიურისტული ბანაკობითად თმობენ კლასობრივ რევოლუციურ პოზიციებს, ყველა ქვეყნის პროლეტარებისა და ჩაგრული ხალხების გაერთიანების მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს ცვლიან მცდარი და რეაქციული თეზისით კანის ფერის, რასების და კონტინენტების პრინციპით გაერთიანების შესახებ. ისინი ბოროტგანზრახვით ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აშორებენ მუშათა კლასის-მშრომელთა ავანგარდის რევოლუციურ ბრძოლას, არ შეიძლება აი ვხედავდეთ, რომ ასეთ გეზს მიუყავართ რევოლუციური ძალების გათიშვისაკენ, ეს კი მხოლოდ ხელს აძლევს ჩვენს კლასობრივ მტრებს—იმპერიალისტებსა და კოლონიზატორებს.

ჩინეთის ხელმძღვანელთა ავანტიურიზმი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება თანამედროვეობის ისეთ საარსებოდ მნიშვნელოვან პრობლემაში, როგორიც არის ომისა და მშვიდობის პრობლემა. ჩინეთის ხელმძღვანელებს სრულიად უპასუხისმგებელად სათამაშოდ გაუხდიათ მილიონობით ადამიანის ბედი და ცდილობენ ხელი შეუშალონ ხალხთა ბრძოლას მსოფლიო თერმოთერმული ომის საფრთხის წინააღმდეგ. თავიანი დემაგოგიური მტკიცებით, რომ „ატომური ბომბი ქაღალდის ვეფხვია“, რომ „იმპერიალისტები ქაღალდის ვეფხვები არიან“, ჩინეთის პროპაგანდა ავრცელებს მავნე ილუზიებს, აფუთებს ხალხთა სიფხიზლეს ისეთი ვერაგი და საშიში მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც თანამედროვე იმპერიალიზმია.

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები თავგამოდებით იცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის ისეთ უცსო მოვლენას, როგორიც არის სტალინის პიროვნების კულტი, და ამართლებენ უხეშ თვითნებობასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რასაც პიროვნების კულტის ვითარება წარმოშობს. ისინი ამ ხაკითხშიც აშკარად დაუპირისპირდნენ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, რომელმაც გადაჭრით დაგმო პიროვნების კულტი და ყველა კომუნისტს მოუწოდა იბრძოლოს მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა მაქსიმალური მოთმინება და თავდაჭერილობა გამოიჩინეს. მომზე პარტიებს არაერთხელ განუმარტავთ ჩინეთის ხელმძღვანელებისათვის, რომ მათი ახლანდელი პოზიციები მცდარი და საშიშია, ბევრჯერ შესთავაზეს შეეწყვეტათ საკარო ელიკა და განეხორციელებინათ კონკრეტული ღონისძიებანი ერთიანობის განსამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის პრესა და რადიო თავაზებულ ცილისწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ, ჩვენ დიდხანს თავს „ვიკავებდით გამთიშველებისათვის პასუხის საკარად გაცემისაგან, იმედი გვქონდა, რომ ისინი ყურად იღებდნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ხმას და დაუბრუნდებოდნენ სწორ გზას.

სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. ჩინეთის ხელმძღვანელებმა უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი ძირგამომთხრელი, გამთიშველი საქმიანობა. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს, ასე რომ იქცევიან, როგორც ჩანს, გარკვეული მიზნები აქვთ — თავს მოახვიონ მოძმე პარტიებს თავიანთი ავანტიურისტული ანტილენინური კურსი, დაამკვიდრონ თავიანთი ჰეგემონია საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

რა შეიძლება ითქვას ასეთი აბსურდული პრეტენზიების გამო? მხოლოდ ერთი რამ: ჩინეთის ხელმძღვანელების ყველა ის ცდა, რომ დაიმორჩილონ კომუნისტური მოძრაობა, სამარცხვინოდ ჩაიფუშება.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულია, გადალახავს წარმოშობილ სიძნელეებს. იგი გამთიშველებთან ბრძოლიდან გამოვა უფრო მტკიცე და გამოწრთობილი. მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშით იგი ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, მშრომელებს წაიყვანს ახალი ისტორიული გამარჯვებებისაკენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

მსოფლიო სოციალისტური სისტემა კიდევ უფრო მძლავრი და მტკიცე გახდება. ჩვენი რწმენის საფუძველია ის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და სოციალისტური ქვეყნების სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები ყველაფერს აკეთებდნენ და გააკეთებენ ჩვენი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენ ვცხოვრობთ შეხანიშნავ დროში, როცა ხდება დიდი რევოლუციური გარდაქმნები, რომლებიც ძირეულად უცვლიან სახეს მთელ დედამიწას. კაპიტალიზმმა თავისი დრო მოჭამა. ინგრევა ხალხთა კოლონიური საპატიმრის ნაშთები. ახალი საზოგადოებრივი წყობილება წლითიწლობით სულ უფრო მტკიცედ და ფართოდ მკვიდრდება ჩვენს პლანეტაზე, სულ უფრო მეტი ქვეყანა და ხალხი დგება სოციალიზმის დროშების ქვეშ. დედამიწაზე არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ხალხთა უძლეველი მოძრაობა სოციალიზმისაკენ.

უბრალოდაც რომ გადავავლოთ თვალი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, შევამჩნევთ უდიდეს სოციალურ ძვრებს, ღრმა ცვლილებებს დედამიწაზე. იქ, სადაც წინათ მთელი კონტინენტები ეუფლებოდა ოკეანეებს, ახლა გამოჩნდა ათობით სუვერენული სახელმწიფოს ფერები. ფართოვდება სოციალისტური სისტემა, რომელიც ამჟამად კაცობრიობის მესამედს მოიცავს. ვიწროვდება იმპერიალიზმის ბატონობისა და პარაპაში სფერო.

კაპიტალიზმის სამყაროს ღრღნის მწვავე, შეურიგებელი წინააღმდეგობანი. კაპიტალის ქვეყნებში ახლა, ისე როგორც არასდროს წინათ, იზრდება კაპიტალიზმის გადარჩენის, მის სნეულებათა მკურნალობის, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შერიგების რეცეპტებისა და პროექტების რიცხვი. მაგრამ ფუჭია კაპიტალიზმის იდეოლოგთა ეს ცდები. იმპერიალისტები ხომ ქოლაში ჩასმულ ობობებს ჰგვანან. როგორც უნდა ცდილობდნენ ობობები მორიგდნენ, რა შეთანხმებებიც უნდა დადონ, ისინი ვერ აღმოფხვრიან განხეთქილებებსა და ძინაობებს.

რა ურყევი ჩანდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კავშირი, რომელსაც განუყოფლად მბრძანებლობდნენ ამერიკის შეერთებული შტატები. ახლა კი თვით კაპიტალისტური სამყაროს ხელმძღვანელები გამოდებით წუწუნებენ იმ ბზარების, ნაპრალების, ხშირად უფსკრულების გამო, რომლებიც თიშავენ დასავლეთელ მოკავშირეებს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი ძირს უთხრიან ნატოს, სეატოსა და სენტოს აგრესიული ბლოკების სტაბილობას. სულ უფრო ფართო მასები ილაშქრებენ მილიტარიზმისა და გამლეკავი შეიარაღების წინააღმდეგ. აგრესიული სამხედრო ბლოკების წინააღმდეგ. მსოფლიო სოციალისტური სისტემის მზარდი ძლიერება, მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალის ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალმასვლა აღრმავებს წინააღმდეგობებს იმპერიალიზმის ბანაკში, იწვევს მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შემდგომ შეცვლას რევოლუციური მუშათა კლასის სასარგებლოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ.

ამხანაგებო მოხარული ვართ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი და უნგრეთი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ერთად გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემის გამო. ჩვენ დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. სოციალიზმის წარმატებანი კი გადამწყვეტი ფაქტორია სამყაროს რევოლუციური გარდაქმნაში, იმ ახალი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებაში, რომელიც ძლევამოსილად ვრცელდება მთელ პლანეტაზე. ეს ახალ ენერგიას გვმატებს კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

როცა კარლ მარქსს ჰკითხეს, თქვენი წარმოდგენით რა არის ბედნიერებაო, დიდმა მოაზროვნემ და რევოლუციონერმა ერთი სიტყვით უპასუხა: „ბრძოლა“. დიახ, ამხანაგებო! ჩვენ, კომუნისტები, ბედნიერი ვართ იმით, რომ მთელ ჩვენს ენერგიას, ჩვენს გონებასა და შრომას ვახმართ სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ადამიანთა უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, რომ თვითეულმა მშრომელმა ადამიანმა მიიღოს შესაძლებლობა აქტიურად იშრომოს, ყოველმხრივ განავითაროს თავისი ნიჭი, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყოს შემოქმედი ამ სიტყვის მთელი და ყოვლისმომცველი მნიშვნელობით.

ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, რომ თვითეულმა ხალხმა ღირსეული ადგილი დაიჭიროს კაცობრიობის დიად ოჯახში, ამდიდრებდეს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, რომ მშვიდობა დედამიწაზე, მეგობრობა და ამხანაგობა, ეკუმენური ინტერნაციონალიზმი, ურთიერთნდობა და პატივისცემა ურყევი პრინციპები გახდეს ადამიანთა და ხალხთა შორის ურთიერთობაში.

ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, რომ კომუნიზმმა, რომელიც განასახიერებს კაცობრიობის საუკეთესო ოცნებებსა და იმედებს, მთლიანად გაიმარჯვოს ჩვენს პლანეტაზე.

აი ჩვენი კომუნისტური იდეალები, ამხანაგებო! და ჩვენ გვწამს, რომ ეს იდეალები გაიმარჯვებენ!

გაუმარჯოს მოძმე უნგრელ ხალხს, უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ იანოშ კადარის მეთაურობით!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა!

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — ყველა ქვეყნის მშრომელთა ძალისა და შეკავშირების უშრეტ წყაროს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ჩვენს საბრძოლო დროშას — მარქსიზმ-ლენინიზმს!

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს იანოშ კადარისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები. მათი სიტყვების დროს ხშირად გაისმოდა ერთსულოვანი ტაში, ოვაცია.

მიტინგის დასასრულს შესრულდა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საბჭოთა სტუმრების დღევანდელმა შეხვედრამ უნგრეთის დედაქალაქის მშრომელებთან კვლავ ცხადყო ორი მოძმე ხალხის მტკიცე ურღვევი მეგობრობა.

დღევანდელი მიტინგის მონაწილენი სახალხო სტადიონის სასპორტო დარბაზში შეკრებილი მარტო 4 ათასი ბედაპეშტელი როი იყო, უნგრეთის რადიომ და ტელევიზიამ მოაწყო მიტინგის გადაცემა დარბაზიდან. გადაცემა ნახა და მოისმინა სახალხო უნგრეთის მილიონობით მშრომელმა.

სტუმრად მეგობარ უნგრელ მუშებთან

ბუდაპეშტი, 8 აპრილი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და მ. პოპოვი იუწყებიან:

ენთუზიაზმითა და გულთბილად ხვდებიან ყველგან სახალხო უნგრეთის მშრომელები საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

დღეს დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები ეესტმრნენ ბუდაპეშტის ოპტიკური ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის „ომის“ მუშებს.

ეს ქარხანა ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის უდიდესი საწარმოა უნგრეთში. იგი დაახლოებით 80 წლის წინათ დაარსდა. მაგრამ ახლა ცოტა რამ თუ დარჩა ძველი ქარხნისაგან. ახლა ეს ქარხანა თანამედროვე საწარმოა, რომლის მარკა შორს არის ცნობილი უნგრეთის ფარგლებს გარეთ. ქარხანა აწარმოებს გეოდეზიურ და ოპტიკურ ხელსაწყოებს, ლინზებს, სათვალეებს მაგიდის საათებს.

საექსპორტო პროდუქციის თითქმის ნახევარი მზადდება საბჭოთა შეკვეთებით.

ქარხნის სამმართველოს შენობასთან ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, საბჭოთა დელეგაციის წევრებს, აგრეთვე იანოშ კადარს, შანდორ გაშპარს, ზოლტან კომოჩინსა და უნგრეთის სხვა მოვაჭრეებს შეხვდნენ ქარხნის გენერალური დირექტორი დიულა პოშა, პარტკომის მდივანი დიერდ პოშა, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები. ქარხნის კომკავშირელებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს საპატიო სტუმრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები, აგრეთვე იანოშ კადარი და სხვა უნგრელი მოღვაწეები წავიდნენ დირექციის შენობაში, სადაც გაიმართა მეგობრული საუბარი ქარხნის ხელმძღვანელებთან. საწარმოს დირექტორმა და პარტკომის მდივანმა ილაპარაკეს ქარხნის პროდუქციაზე, მისი კოლექტივის შრომითს საქმეებზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივებზე, პარტიულ-მასობრივ მუშაობაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა ინფორმაციისათვის, მისცა შეკითხვები, რჩევა-დარიგება. შემდეგ საბჭოთა სტუმრებმა და უნგრელმა ამხანაგებმა დაათვალიერეს რიული მექანიკური დამუშავებისა და ზუსტი ოპტიკის საამქროები, აგრეთვე სამონტაჟო საამქრო.

აქ საპატიო სტუმრებმა ხელი მოაწერეს ორი სოციალისტური შრომის ბრიგადის დიპლომებში, რომლებსაც ლაიმ ვარგა და შანდორ ბანკუტი ხელმძღვანელობენ.

წითელი და წითელ-თეთრ-მწვანე ალმებითა და ლოზუნგებით მორთულ ქარხნის ეზოში გაიმართა მასობრივი მიტინგი. იგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტკომის მდივანმა დერდ პოშამ. მან სიტყვა მისცა იანოშ კადარს, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ტაშმა იგრიალა ქარხნის ეზოში, როცა მიკროფონთან ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა წარმოთქვა სიტყვა.

იანოშ კადარისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათი გამოსვლების დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ქარხნის კოლექტივს გადასცა სამახსოვრო სუვენირი — ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

ქარხანა „ომში“ გამართული მიტინგი დამთავრდა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ შესრულებით, მან ცხადყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მზარდი ძმური მეგობრობა.

ქარხნის ტერიტორიიდან წასვლისას ნ. ს. ხრუშჩოვმა, იანოშ კადარმა და საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ხელი მოაწერეს ქარხნის საპატიო სტუმართა წიგნში.

უფრო მჭიდროდ დავირაგმოთ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ა. ი. **მიკოიანმა.**

პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გულმოდგინედ ვამხილოთ ჩინეთის ხელმძღვანელთა იდეური განდგომა, გადაჭრით გავუწოთ წინააღმდეგობა მათს გამთიშველ საქმიანობას.

ყველა ორატორი რისხვითა და აღშფოთებით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები ყოველგვარ საზღვარს გადასცდნენ თავიანთ გამთიშველ საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავეს მოძმე პარტიათა თათბირებზე 1957 და 1960 წლებში.

ერთხმად მიღებულ რეზოლ

ზეიმობს გმირი ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტ დამპყრობლებისგან ოდესის განთავისუფლების 20 წლისთავი

გუშინ, გვიან საღამოს ჩვენი კორესპონდენტი ოდესაში დაუკავშირდა საოლქო გაზეთ „ზნამია კომუნიზმას“ რედაქციას. აი რა გადმოგვცეს ოდესიდან.

დღეს ოდესაში შესანიშნავი მზიანი დღეა, ნამდვილი გაზაფხულის დღეებზე იღვიძებენ მზის სხივებით გამთბარი კვირტები, სადაც არის იფეთქებენ, ყვავილებად და ფოთლებად გადაიშლებიან... ქალაქი საზეიმოდ არის მორთული. წითელი დროშები ფრიალებენ ქუჩებში, სახლებზე, ნავსადგურში რეიდზე მდგომ გემებზე, მთელ ქალაქში საზეიმო განწყობილებაა. დღეს 10 აპრილს სრულდება ოცი წელი, რაც საბჭოთა არმიამ ქალაქი ოდესა გაათავისუფლა ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან. 907 დღის ოკუპაციის შემდეგ ქალაქის თავზე კვლავ აფრიალდა ომის ქარცეცხლში გამოტარებული ძლევამოსილი წითელი დროშები. ქალაქო, ვამბობთ, თორემ სად იყო ქალაქი! ოცი წლის წინათ — 1944 წლის გაზაფხულზე, როცა საბჭოთა არმიამ ოდესა გაათავისუფლა, აქ მხოლოდ ნანგრევები იყო.



დღეს კი, ოცი წლის შემდეგ, მკვდრეთით აღმდგარ გმირ ქალაქს ნაჭრილობევიც ალარ ეტყობა. განიერი ქუჩები, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, ყველაფერი ეს ან ახლად არის აშენებული ან ნანგრევებისაგან აღდგენილი და განახლებულია. ზღვისპირა ბულვარიდან მოჩანს ნავსადგურის პანორამა. ოდესის ნავსადგური უდიდესია საბჭოთა კავშირში. აქედან ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტისაკენ მიემართება ცისფერი გზები. ოდესის ნავსადგურს რეგულარული საერთაშორისო ხაზები აკავშირებს იაპონიასთან, ინდოეთთან, კუბასთან, იტალიასთან, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასთან და ბევრ სხვა სახელმწიფოსთან. გემები ვერ ეტევიან ნავსადგურის დიდ უბეში; ოდესა ხომ ამავე დროს ანტარქტიკული ვეშაპსანადირო ფლოტილიებისა და შავი ზღვის მებადურების ბაზაა.

გმირი ქალაქის მშრომელები ახალი შრომითი გამარჯვებებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს. ოდესა მანქანათსაშენებლო და ქიმიური, მსუბუქი და კვების, ჩარსხასშენებლო და გემსარემონტო მრეწველობის ქალაქია. ოდესაში აწარმოებენ მთელი იმ სატრაქტორო გუთნების ნახევარზე მეტს, რასაც მთელ ჩვენს ქვეყანაში უშვებენ. უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქალაქის ქარხნებმა და ფაბრიკებმა გეგმის ზევით გამოუშვეს ათეული მილიონობით მანეთის პროდუქცია, მათ შორის უნიკალური წნეხები და სამრეწველო სამაცივრო დანადგარები, ზუსტი ხელსაწყოები, ავტოგენური მანქანები.

ოდესა ნანგრევებისაგან აღმდგარი, განახლებული ქალაქია. მაგრამ იმ ძველს ახალი რომ შევადაროთ, განსხვავება ძალიან დიდია. ოდესაში ბევრია ომის შემდეგ შექმნილი განიერი ლამაზი ქუჩები. ეს არის გაგარინისა და შევჩენკოს პროსპექტები. მეზღვაურთა და გემშემკეთებელთა ქუჩები — კორაბელნაია, იაკორნაია და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქის საცხოვრებელი ფართობი ერთთორად გადიდდა.

ოდესა მოწინავე მეცნიერების ქალაქია, მთელი მსოფლიო იცნობს აკადემიკოს ფილატოვის სახელობის თვალის ავადმყოფობათა და ქსოვილთა თერაპიის ინსტიტუტს. ომისშემდგომ წლებში აქ გაკეთებულია 40 ათასამდე ოპერაცია. ახობთ უსინათლო ადამიანს დაუბრუნდა მხედველობა. მარტო შარშან ინსტიტუტში იყვნენ მეცნიერები 20 ქვეყნიდან.

ოდესაში 14 უმაღლესი სასწავლებელი და 35 ათასი სტუდენტია. ესენი მომავალი ზღვაოსნები და გემთმშენებლები, აგრონომები და მეტეოროლოგები, ფიზიკოსები და მათემატიკოსები, არქიტექტორები და მემაცივრენი არიან.

ასე გამოიყურება გმირი ქალაქი — ოდესა დღეს, ფაშისტი ოკუპანტებისაგან მისი განთავისუფლების მეოცე წლისთავზე.

სახალხო ზეიმი გვიან საღამომდე გრძელდება. საზეიმო მიტინგზე, რომელიც დიდების ხეივანში გაიმართა, თითქმის მთელი ქალაქი იყო შეკრებილი. მოზეიმეთა შორის იყვნენ გმირი ქალაქის დამცველები.

სურათებზე: ოდესა. ლენინის ქუჩაზე ოპერის თეატრთან დღეს (ზემოთ მარცხნივ) და ოცი წლის წინათ, როცა მესამე უკრაინის ფრონტის ჯარები შევიდნენ განთავისუფლებულ ქალაქში. ქვემოთ — ბარიკადები ოდესის ქუჩებში. 1941 წელი.

ფოტო ა. ფატეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ტულსი გირის მადლობა

კატმანდუ, 9 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ნეპალის 1963 წლის 25 ოქტომბრის ერთობლივი კომუნიკეს შესაბამისად აქ ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას, რომელთა თანახმად საბჭოთა კავშირი უსასყიდლო დახმარებას გაუწევს ნეპალს „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ გზის 125 კილომეტრი უბნისა და ბირგანჯის უმარტივესი სასოფლო-სამეურნეო ფერმების ქარხნის მშენებლობაში.

გამოვიდა რა ხელმოწერის ცერემონიაზე, დ-რმა ტულსი გირიმ მადლობა უძღვნა სსრ კავშირის მთავრობას იმისათვის, რომ სწრაფად გამოეხმაურა ნეპალის თხოვნას ამ ორი პროექტის განხორციელების შესახებ.

ამ შეთანხმებათა ხელმოწერა დიდი მოვლენაა ნეპალისათვის, განაცხადა ტულსი გირიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ჩვენ, თქვა მან, დიდი მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა ეფექტიანი დახმარებისათვის.

ჯონსონმა გაუფცვა გადადო

ნიუ-იორკი. 10 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაწყებულიყო რკინიგზელთა გაფიცვა.

მისი მიზეზი იყო „ახალი წესების“ შემოღება, რომელთა შესაბამისად „ზედმეტი“ გახდა უწინარეს ყოვლისა 35 ათასი მეცეცხლური. სულ კი უმუშევარი დარჩება მეცეცხლურთა, მეშანქანეთა, საშუხრუჭე კოსდუქტორთა, გადამბმელთა და გამცილებელთა პროფკავშირების წევრთა ერთი მესამედი. დასახული გაფიცვა რკინიგზელთა პასუხია იმაზე, რომ მეწარმეებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე ხელფასის მომატების შესახებ. შრომის მინისტრის უორტცის ყველა ცდას „შეენელებინა“ კონფლიქტი, წარმატება არ მოჰყოლია.

გამწვავებული კონფლიქტის საკითხს უშუალოდ მოჰკიდა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა. მან თეორ სახლში გამოიძახა პროფკავშირთა წარმომადგენლები და მეწარმეები და დაიწყო მათთან მოლაპარაკება.

ოთხი საათის თათბირის შედეგად მან მიაღწია იმას, რომ გაფიცვა 15 დღით გადაიდო.

ლუიჯი ლონგოს ინტერვიუ

რომი. გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ლუიჯი ლონგომ მისცა იტალიის საინფორმაციო საagენტო ანსას.

„უწინარეს ყოვლისა, —თქვა ლონგომ, — მე მინდა მოგგაგონოთ, რომ ჩვენს პარტიას უფიქრია ეკავა ნათელი პოზიცია, გამოდიოდა რა სექტანტური და დოგმატიკური თეზისების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩინელი ამხანაგები აყენებდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ეს შეეხება, კერძოდ, მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემებს, დებულებებს სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა გზის შესახებ ახლანდელ ისტორიულ პირობებში, დებულებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ისეთმა ქვეყანამ, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, აწარმოოს ბრძოლა სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად და დემოკრატიული ინსტიტუტების განსაეთარებლად“.

ამავე დროს, განაგრძო ლონგომ, ჩვენმა პარტიამ უაღრესად ნათლად და გადაჭრით ცხადყო თავისი სოლიდარობა ბრძოლასთან, რომელსაც სსრ კავშირი თანამიმდევრულად ეწევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ცხადყო სოლიდარობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზის ძირითად მიმართულებასთან, რომელიც XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. ეს ხაზი ემთხვევა ჩვენი პოლიტიკის შემუშავებისა და ჩვენი გამოცდილების შედეგებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. (საკდესი).

სამუდამოდ ერთად

სოფია. სათაურებით „სამუდამოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირთან, სამუდამოდ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით“, „ერთობა მშვიდობისა და სოციალიზმის დიადი საქმისათვის“, „ერთობისა და შეკავშირებისათვის ლენინის დროშით“ ბულგარეთის გაზეთები კვლავ აქვეყნებენ გამოხმაურებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დოკუმენტებისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების გამო.

გაზეთი „ტრუდი“ გმობს ჩინელ ხელმძღვანელთა ანტილენინურ, გამთიშველ და ფრაქციულ საქმიანობას და წერს, რომ ბულგარეთის პროფკავშირები და ყველა მშრომელი უსაზღვრო ერთგულებას უცხადებენ ლენინის დიად პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის დიდ მეგობარს ნ. ს. ხრუშჩოვს.

გამთიშველთა დაგმოგა

ჰავანა, 10 აპრილი. (საკდესი). პრესსა ლატინას სააგენტომ გადასცა ტექსტი სალვადორის კომუნისტური პარტიის განცხადებისა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას შორის უთანხმოებათა საკითხზე.

განცხადებაში, აღნიშნავს სააგენტო, უარყოფილია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის თეზისები და პოზიცია და აღნიშნულია, რომ სალვადორის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში შემავალ პარტიათა დიდი უმრავლესობის თვალსაზრისსა და ხაზს.

ჟან პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

მოსკოვი, 9 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 1963 წლის 31 დეკემბრის წერილზე მაოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი მიღებულია ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნე ვინის პასუხი.

„მე მივეცალმები თქვენს წერილს, — ნათქვამია პასუხში, — „როგორც დოკუმენტს, რომელმაც ღირსეულად დაგვირგვინა წელი, როცა მიღწეულ იქნა დაძაბულობის შენელება სახელმწიფოებს შორის, და როგორც სერიოზულ დადასტურებას, რომ თუ კეთილ ნებასა და სურვილს გამოიჩენენ, ხალხებს შეუძლიათ ურთიერთგაგება დაამყარონ შემდგომ წელს“.

ბირმის კავშირი, — ნათქვამია შემდეგ პასუხში, — მტკიცედ იცავს და უჭერს მხარს პრინციპებს, რომელსაც იგი მუდამ ახორციელებს, ყველა იმ საკითხისა და პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის პრინციპს, რომლებიც წარმოშობს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის.

თუმცა სახელმწიფოთა თანამედროვე ურთიერთობის პირობებში სასარგებლოდ მოვაჩნია, ნათქვამია დასასრულ პასუხში, მოქმედება მშვიდობის დასაცავად თითოეულ ცალკე შემთხვევაში, რაც ხორციელდება ან გაერთიანებული ერების მფარველობით, ანდა როგორც ერთობლივი დონისძიებანი მეგობარი სახელმწიფოებისა, მაგრამ ჩვენ სწორად ასევე მივეცალმებით ისეთ დადებითშენელოვან წინადადებებს, როგორიც არის თქვენი წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას.

ტოკიო, 10 აპრილი. (საკდესი). ტოკიოს პრესა დიდი ინტერესით შეხვდა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას გაიუქმოს 1965 წლის 1 იანვრიდან განვითარებული ქვეყნებიდან შეტანილი საქონლის ყველა ბაჟი და გაადიდოს საქონლის შესყიდვა ამ ქვეყნებში. აქვეყნებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალებს, დედაქალაქის გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ ახალ საბჭოთა წინადადებებს. პარტია „ახალი დუსტურის“ ორგანო გაზეთი „აქსიონი“ გამოთქვამს რწმენას, რომ „ამ წინადადებებს მოიწონებს კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა“.

გაათავისუფლეს შეიხი აბდულა

დელი, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს ქაშმირში პატიმრობიდან გათავისუფლეს შეიხი მუჰამედ აბდულა, ჯამურა და ქაშმირის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც სპეციალურ სასამართლოში იმყოფებოდა 1953 წლის აგვისტოდან. მას ბრალად ედებოდა შეთქმულების მოწყობა „ქაშმირის მთავრობის ძალადური დამხობისა და ინდოეთის რესპუბლიკისაგან ქაშმირის ტერიტორიის ჩამოშორების“ მიზნით.

შეიხი აბდულასთან ერთად, როგორც იუწყება პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტო, გაათავისუფლეს 13 სხვა ბრალდებული ამ საქმის გამო.

მთავარი ყურადღება საგჭოთა წინადადებებს

ჟენევა, 10 აპრილი. (საკდესი). ტანსის ეროვნული ფრონტის ბერლინის ბიურო ეროვნული ფრონტის ბერლინის ბიურო ეროვნული ფრონტის ბერლინის ბიურო

ბრაზილიის ამბები

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). სანამ ბრაზილიის კონგრესი აპირებს გენერლების ზემოქმედებით განიხილოს და მიიღოს აქტი კონსტიტუციური გარანტიების გაუქმების შესახებ „კომუნისტური და პროკომუნისტური ელემენტების წმენდის“ მოწყობის მიზნით, გენერლები მთელი ძალით მოქმედებენ. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბრაზილიიდან იუწყება, რომ არმიამ უკვე დაიწყო გაძლიერებული კამპანია, „რათა უკიდურესი მემარცხენე ელემენტები მოაშოროს დიდმნიშვნელოვან პოსტებს, რომლებიც მათ პრეზიდენტ გულარტის დროს ეკავათ“.

9 აპრილს შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ჩხრეკა-დაპატიმრება მოაწყვეს ბრაზილიის უნივერსიტეტში. უკვე გაქრა კონგრესის რამდენიმე წევრი. კონგრესის წევრმა გადამდგარმა მარშალმა ბუარეზ ტავორამ, იუწყება ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი, განაცხადა, რომ არმია მოქმედებს თავისი შეხედულებისამებრ, რათა გამოიყენოს აქტი კონგრესიდან, მთავრობიდან და შეიარაღებული ძალებიდან ყველა „უკიდურესი მემარცხენე ელემენტის“ განდევნის შესახებ (ეს აქტი მხედრიონმა უკვე „შეუთანხმა“ ეროვნული კონგრესის წევრებს, მაგრამ კენჭისყრა ამ აქტის გამო ჯერ არ მომხდარა, ესე იგი არა აქვს კანონის ძალა. — რედ. შენიშვ.).

გადამდგარმა მარშალმა განაცხადა აგრეთვე, რომ კონგრესი „არ უნდა ჩრიდეს ცხვირს“ არმიის საქმეებში.

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). სამხედრო ხელმძღვანელებმა, რომლებმაც პრეზიდენტი გულარტი ჩამოაგდეს, 9 აპრილს ბრაზილიაში გამოაცხადეს რევოლუციური წესები, რაც საშუალებას აძლევს მთავრობას მართოს ქვეყანა ისე, რომ დამოკიდებული არ იყოს კონსტიტუციაზე, იუწყება რიო-დე-ჟანეიროდან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი.

სამხედრო მინისტრმა და კოსტა სილვამ განაცხადა, რომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც ახალ პრეზიდენტს — იგი კი ნამდვილად სამხედრო პირი იქნება — ანიჭებს უფლებას აწარმოოს სახელმწიფო ორგანოების წმენდა „კომუნისტებისა და თანამგრძნობთაგან“, შეაჩეროს კონსტიტუციური გარანტიების მოქმედება და გააუქმოს უმაღლესი სასამართლოს წევრთა სამუდამო მანდატები, აგრეთვე განახორციელოს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, სამხედრო სამინისტრომ გვერდი აუარა ეროვნულ კონგრესს, რომლის წევრები ფიქრობდნენ, რომ სამხედრო პირები დაელოდებიან იმ ღონისძიებათა საკანონმდებლო მოწონებას, რომელთა საშუალებით მათ სურთ განამტკიცონ „რევოლუციის მონაპოვრები“ (ესე იგი სამხედრო „გადატრიალების ხელმძღვანელთა მდგომარეობა. რედ. შენიშვ.).

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელები დაემორჩილნენ არმიის მოთხოვნებს და დათანხმდნენ ხმა მისცენ იმას, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს მიენიჭოს ფართო უფლებანი, „რათა საგანგებო სამართლებრივ ნორმებით გაწმინდოს კომუნისტებისაგან სენატი, დეპუტატთა პალატა, უმაღლესი სასამართლო და მთავრობის სხვა ორგანოები“, — იუწყება რიო-დე-ჟანეიროდან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, „ეროვნულ-დემოკრატიული კავშირის პარტიამ მოითხოვა, რომ უკანონოდ გამოცხადდეს ყველა დანიშნა ოფიციალურ თანამდებობებზე, რაც გულარტმა მოახდინა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რანიერი მაძიერ კვლავ განიხილავს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელებთან „კომუნისტებისაგან“ „წმენდის“ მოწყობის ხერხებს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მზადდება კანონპროექტი, რომლის თანახმად ახალ პრეზიდენტს მიენიჭება „სპეციალური უფლებანი“, რომლებიც საშუალებას მისცემს პრეზიდენტს მანდატები ჩამოართვას „სახელგატეხილ“ დეპუტატებსა და სენატორებს, აგრეთვე ჩამოგდებული პრეზიდენტის მომხრეები დაითხოვოს შეიარაღებული ძალებისა და ადმინისტრაციული ორგანოების სხვადასხვა პოსტიდან.

თითქმის ყველა წევრი ნაციონალისტური საპარლამენტო ფრონტისა კონგრესში იძულებულია ან წავიდეს ბრაზილიიდან, ან თავი შეიფაროს ლათინური ამერიკის ქვეყნების საელჩოებს.

რიო-დე-ჟანეირო, 10 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი მ. ალიაბიევი იტყობინება:

ხვალ შეიკრიბება ბრაზილიის ეროვნული კონგრესი, რათა აირჩიოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. როგორც ადგილობრივი რადიო აღნიშნავს, ამჟამად პრეზიდენტის პოსტზე არის სამი კანდიდატი: გენერლები კასტელო და კრუელი, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო გადატრიალებაში, და მარშალი დუტრა, დამხობილი პრეზიდენტის გულარტის ცნობილი მოწინააღმდეგე. შტატების 18 გუბერნატორი და კონგრესისა და პარტიების დეპუტატთა მეტი წილი მხარს უჭერენ კასტელოს კანდიდატურას.

რადიო და პრესა აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე გადაწყვეტილია „კომუნისტებისაგან გათავისუფლონ სახელმწიფო აპარატი“. კონგრესში მომდინარეობს მზადება, რათა მიიღონ ეგრეთ წოდებული კონსტიტუციური აქტი, რომელიც, როგორც აღნიშნავს „ეროვნულ დო ბრაზილი“, ითვალისწინებს იმას, რომ დროებით გააუქმონ კონსტიტუციური გარანტიები, ჩამოართვან კონგრესის დეპუტატებს სპარლამენტო ხელშეუხებლობა, უარი თქვან იმ პარტიების რეგისტრაციაზე, რომლებმაც „თავიანთ სიებში კანდიდატებად ან პარლამენტარებად შეიყვანეს კომუნისტები“.

კვლავ აპატიმრებენ დამხობილი პრეზიდენტის გულარტის მომხრეებს. როგორც პრესა იუწყება, გუანაბარის შტატში დაპატიმრებულია ოთხი ათასამდე კაცი, რიო-დე-ჟანეიროს შტატში — ორი ათასზე მეტი.

გულარტის მომხრეთა დევნის მიუხედავად, დეპუტატმა სერიუო მაგალიაესმა კონგრესში განაცხადა, რომ ბრაზილიის მუშათა პარტიას წინანდებურად მიაჩნია გულარტი კანონიერ პრეზიდენტად, რომელიც აიძულეს ჩამოშორებოდა ხელისუფლებას „სამხედრო გადატრიალების გზით“.

გულარტის განცხადება

ჰავანა, 10 აპრილი. (საკდესი). ბრაზილიის დამხობილმა პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა პრესსა ლატინას სააგენტოს ურუგვაელ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „სახელმწიფო გადატრიალება ბრაზილიაში მზადდებოდა დაახლოებით 10 თვის ან ერთი წლის განმავლობაში“. მან აღნიშნა, რომ ასეთი გადატრიალების“ მომზადება არ შეიძლება 24 საათში ან ერთ კვირაში“.

როგორც ხაზგასმით აღნიშნავს გულარტი, მოლაპარაკების ორგანიზატორებს ზურგს უმაგრებენ „როგორც ბრაზილიის, ისე საზღვარგარეთის მძლავრი ეკონომიური წრეები“.

ჟან ულბრიხტმა მიიღო საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია

ბერლინი, 9 აპრილი (საკდესი). დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა მიიღო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია რომელსაც იგი მეთაურობს. მიღებას, რომელიც გაიმართა ნიდერშენჰაუზენის რეზიდენციაში, დაესწრნენ ა.გრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ბონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი გ. გოფმანი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, გერმანიაში საბჭოთა კავშირის ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი არმიის გენერალი ი. ი. იაკუბოვსკი.

ვ. ულბრიხტი გულითადად მიესალმა მარშალ მალინოვსკისა და დელეგაციის წევრებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მთავრობას, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას საბჭოთა სტუმრების ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიაჩნიათ ორივე ქვეყნის არმიებისა და ხალხების მეგობრო, ძმური მეგობრობის გამოვლენად. ერთობლივად, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სხვა არმიებთან ურღვევი ძმური თანამეგობრობით, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩვენ უზრუნველვყოფთ ხალხთა სოციალისტური თანამეგობრობის დასავლეთი საზღვრების უშიშროებასა და დაცვას.

დასასრულ ვ. ულბრიხტმა სთხოვა მარშალ მალინოვსკის გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, საბჭოთა კავშირის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს და მთელ საბჭოთა ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის გულითადი, ძმური სალამი.

მოკლე საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა გულითადი მადლობა გადაუხადა ვ. ულბრიხტს, რომ დელეგაციას საშუალება მიეცა სწვეოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გასცნობოდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას, მის შეიარაღებულ ძალებს. ჩვენ ნათლად დავრწმუნდით სოციალისტური მშენებლობის წარმატებებში, ხაზგასმით აღნიშნა რ. ი. მალინოვსკიმ, და, რაც მთავარია, გულით ვიგრძენით დიდი მეგობრობა, რომელსაც ყველგან იჩენდნენ.

მარშალმა მალინოვსკიმ ჯანმრთელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვა ვალტერ ულბრიხტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

შემდეგ, მეგობრულ საუბარში, საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაციის ხელმძღვანელმა გაუზიარა ვ. ულბრიხტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

საუბარი მეგობრულ და გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მოკლე ცნობები

□ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის წევრი ა. ი. აჯუბეი, რომელიც აქ იმყოფება და მეთაურობს მეგობრობის ალოგადოებების „სსრ კავშირ-საფრანგეთი“ დელეგაციას. საუბარმა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

□ ოსაკას საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობისათვის იაპონიაში ჩავიდა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ორკესტრი საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს გახსნის ოსაკას საუკეთესო დარბაზს „ფესტივალ ჰოლში“ პროგრამით, რომელიც შედგება რუსი კლასიკოსთა და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან.

□ მანილაში გაიხსნა სეატოს სამხედრო მრჩეველთა ორი დღის თათბირი, რომელსაც ესწრებიან ავსტრალიის, ინგლისის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, ფილიპინების, ტაილანდისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები. როგორც ვარაუდობენ, სეატოს სამხედრო მრჩეველი განიხილავენ შემდეგ საკითხებს: საფრანგეთის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა, კიპროსი მალაიზიის შექმნასთან დაკავშირებით და სხვ. (საკდესი).

„ჯემინაის“ გამოცდა

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს კენედის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) რაკეტის „ტიტანი-II“ საშუალებით კოსმოსში გაუშვეს ორადგილიანი კაფსული „ჯემინაი“ (ტყუპი).

ეს გაშვება შედის გამოცდების პროგრამაში, და კაფსულში არ არიან კოსმონავტები.

ამერიკის საავგენტოებს ჯერჯერობით არ უცნობებიათ, რომ კაფსული ორბიტაზე გავიდა.

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). ამერიკის საავგენტოთა ცნობებით, კენედის კონცხიდან გაშვებული ორადგილიანი კაფსული „ჯემინაი“ (ტყუპი) გავიდა ორბიტაზე დედამიწის გარშემო.

ეს არის პირველი სასინჯი გაშვება, იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ შესაძლებელია თუ არა ორი კოსმონავტის გაფრენა კაფსულით. კაფსულის წონა შეადგენს 7 ათას გირვანქას, ამ წონაში არ შედის მეორე საფეხურის წონა. ახლანდელი გაფრენის დროს რაკეტის „ტიტანი-II“ მეორე საფეხური არ სცილდება კაფსულს, და საერთო წონა ჟდრის დაახლოებით 11,5 ათას გირვანქას. გაშვების პროგრამით გათვალისწინებული არ არის კაფსულის დაშვება და გადარჩენა. კაფსული ორბიტაზე დარჩება ერთ კვირას. შემდეგ ატმოსფეროს მკვრივ ფენებში შესვლისას დაიწვება.

სესხზე უარი თქვეს

ჰავანა, 9 აპრილი. (საკდესი). არგენტინამ უარი თქვა ამერიკის სესხზე — 20,7 მილიონ დოლარზე. სესხი განკუთვნილი იყო მარცვალსაცავების მშენებლობისათვის.

როგორც პრესნა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ბუენოს-აირესიდან, უარი გამოწვეული იყო სესხის მძიმე პირობებით: ამ პირობების თანახმად, არგენტინას ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა შეეძინა საჭირო საშენი მასალის 60 პროცენტი.

გინძური გარიგებანი

ლონდონი, 9 აპრილი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში კონსერვატორებმა ხმის უმრავლესობით უარყვეს ლეიბორისტების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კერძო ფირმებს „ზედმეტი იარაღის“ გაგზავნა საზღვარგარეთ. ინგლისის მთავრობა იარაღს, რომელიც მიაჩნია, რომ არ არის საჭირო, აძლევს კერძო ფირმებს და ისინი კი, თავის მხრივ, გზავნიან საზღვარგარეთ.

ლეიბორისტმა რიჩარდ მარშმა, რომელიც კამათში გამოვიდა კანონპროექტის გამო კენჭისყრის წინ, აღნიშნა, რომ 20 ათასი შაშხანა გაიგზავნათ იემენში მონარქისტთა რაზმებს, რომლებიც იემენის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებენ. მან ამ გაჭრობას ბინძური გარიგება უწოდა.

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

ჰელსინკი, 9 აპრილი. (საკდესი). დემოკრატიულმა პრესბიურომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა ცნობა ფინეთის კომპარტიის პოზიციის შესახებ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებში.

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, ნათქვამია ცნობაში, თავის სხდომაზე 8 აპრილს განიხილა ვითარება, რომელიც საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში შეიქმნა ომსახთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ უარყო ბევრი მოძმე პარტიის წინადადება საჯარო პოლემიკის შეწყვეტისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის აღდგენის შესახებ. პოლიტბიუროს ცენტრალური კომიტეტის დავალებით გადაწყვეტა გამოაქვეყნოს რეზოლუცია, მიღებული ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 22-23 თებერვლის პლენუმზე.

პოლიტბიუროს მოხსენებაში ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და კამათის მსვლელობაში, ნათქვამია რეზოლუციაში, აღინიშნა, რომ პარტიას ხშირად განუხილავს ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება 1957 და 1960 წლების საერთაშორისო თათბირთა ერთსულოვან გადაწყვეტილებებს.

ამჟამად იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინ

წიგნი-აღმგზრდელი, მეგობარი

• ფიქრები საბავშვო მწერლობაზე •

საბავშვო წიგნი უნდა იწერებოდეს ისე, როგორც მოზრდილთათვის, მხოლოდ უკეთესად.

მაქსიმ გორკი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ორ დღეს გრძელდებოდა მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პლენუმმა განიხილა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის ამოცანები. მწერლებთან ერთად მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწენი, პედაგოგები, კომკავშირული მუშაკები.

ბუნებრივია, რომ ყველა მათგანს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას აღელვებს და აინტერესებს ბედი ქართული საბავშვო ლიტერატურისა, რომელიც მოწოდებულია თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს ნორჩი თაობის და ახალგაზრდობის ლენინური, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ეს დიდი და საპატიო მოვალეობა გვაკისრებს კიდევ უფრო საინტერესო, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი წიგნები მივაწოდოთ კომუნიზმის მომავალ მშენებლებს.

უკვდავი „დედა ენის“ შემოქმედი იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია, ან სავსეა უნიჭო და უმარილო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება, და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან...

საბავშვო მწერლობა ბევრ სიკეთეს დათესავს მოზარდ თაობაში, ბევრ მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულიშვილსა“.

ყველას, ვინც კი ნორჩ თაობას უძღვნის თავის შემოქმედებას, უნდა ახსოდეს ეჟა ფშაველას შთამაგონებელი სტუკვები: „ნურავის ჭკონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსს და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მონაცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი...“

ასეთ სულით მდიდართა დაუცხრომელი შრომით შეიქმნა საუნჯე მშობლიური საბავშვო მწერლობისა, რომლის აღმზრდელობითი ძალა ახლაც უსაზღვროდ დიდია. ჩვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა გაავლეს მისი პირველი კვალი. მეცხრამეტე საუკუნიდან საგანგებო ყურადღება დაეთმო ნორჩი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს, და პირველ რიგში ჩვენთათვის, ყრმათათვის საკითხავი მხატვრული წიგნების შექმნას. ილია ჭავჭავაძე — ქართველი ხალხის სულიერი მამა და ბელადი, დიდი აკაკი და დიდი ვაჟა, რომლებმაც მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოები მიუძღვნეს ბავშვებს, ყოველმხრივ ზრუნავდნენ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წინსვლისა და განვითარებისათვის.

რაფიელ ერისთავი და ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი და გიორგი ჭალადიდელი, იოსებ დავითაშვილი და ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი და იროდიონ ევდოშვილი, თეოფილ ბაქრაძეშვილი და დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი და ნინო ნაკაშიძე... ჩვენი ხალხის ამ შესანიშნავმა ადამიანებმა ძვირფასი განძი დაუტოვეს ქართველ ბავშვებს.

თანამედროვე ქართულმა საბავშვო მწერლობამ არ დაკარგა წინაპრების საბერვნალი ტრადიცია და შექმნა ჩვენი გმირული ცხოვრების ამსახველი მრავალი შესანიშნავი ქმნილება — ლექსი, მოთხრობა, პიესა. ჩვენი პატრიები, ჩვენი ყველაზე საყვარელი ადამიანები, იზრდებიან იმ მაღალი, ჰუმანური აზრებითა და იდეებით, რაც ამ ნაწარმოებებშია ჩაქსოვილი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ისტორიული შეხვედრის შემდეგ საგრძნობი გარდატეხა მოხდა საბავშვო მწერლობაშიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმმა საგანგებოდ აღნიშნა უდიდესი როლი, რაც ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას ახალგაზრდობის აღზრდაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. ილიჩოვმა ასე განსაზღვრა ჩვენი საპატიო და პასუხსაგები ამოცანები:

„ახალგაზრდათა გულში გმირობისადმი მოსწრაფების ცეცხლის გაღვივებას, დიადი სამშობლოსადმი აქტიური და ქმედითი სიყვარულის აგრძნობის ჩანერგვას, უფროსი თაობების შთამაგონებელი მაგალითით გატაცებას მხოლოდ ის ნაწარმოებები შესძლებენ, რომლებიც აშუქებენ ჩვენი ცხოვრების მაღალ და კეთილშობილურ სიმართლეს, ახალი საზოგადოებისათვის საბჭოთა ხალხის რეოლუციური ბრძოლის ჰეროიკასა და რომანტიკას. აქედან ის გამომდინარეობს, რომ **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბავშვო და ახალგაზრდობის წიგნების, პიესების, კინო-ფილმების შექმნას, საბავშვო და ახალგაზრდობის გამომცემლობებისა და ჟურნალების, თეატრებისა და კინოსტუდიების მუშაობას“.**

ეს განსაკუთრებული ყურადღება პარტიისა და შშობელი ხალხისა გვავალებს არ დაკმაყოფილდეთ დღევანდელი წარმატებებით, კიდევ უფრო ავიმაღლოთ მხატვრული ოსტატობა, კიდევ უფრო მეტის ენერგიითა და მონდომებით ვიბრძოლოთ პატარებისათვის დიდი ლიტერატურის შესაქმნელად.

აი ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა მონაწილე პლენუმისა, რომელიც პირველად ჩვენი მწერალთა კავშირის ცხოვრებაში მთლიანად მიეძღვნა ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს.

სავსებით მართალი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი დემნა შენგელაია, როცა ამბობდა, ძნელია ბავშვებისათვის წერაო. ძნელია იმიტომ, რომ გარდა ლიტერატურული ნიჭისა და ოსტატობისა, საჭიროა სხვა რამეც: ნორჩი ადამიანის ფსიქოლოგიისა და ინტერესების ღრმა ცოდნა, ბავშვის სულიერ სამყაროში ჩაწვდომის შეუცდომელი უნარი, რაც მხოლოდ ბედნიერთა ხვედრია. მაგრამ რაც უფრო ძნელია ეს ამოცანა, მით უფრო საპატიო და კეთილშობილურია!

ს ო ო ნ ა ვ ი

ს ა ბ ა ვ შ ვ ო ** **ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი

ს ა ბ ჭ ო თ ა ** **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ** **ს ა ბ ა ვ შ ვ ო ** **ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ს

ს ა ბ ა ვ შ ვ ო ** **ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს ** **ს ა ხ ლ ი ს ** **ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ს

**ს ა ბ ა ვ შ ვ ო ** **ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ს ** **ბ ა ზ